# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 100,000 მან.
¼ „ 50,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
¼ „ 500,000

№ 450 შაბათი, აპრილის 21 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000


შაბათს, 21 აპრილს, საღამოს 5 საათზე

## შესდგება ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. 1923 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
2. ქალ. ტფილისში საბინაო ქირის ახალი ნორმების დამტკიცება.
3. ქალაქის აბანოებში და ტრამვაიზე ნიხრის გადიდება.
4. მიმდინარე კითხვები.

აღმასკომის ყველა წევრებისათვის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**
№ 319—1—1


ორშაბათს, 23 აპრილს, საღამოს 5 საათზე

## სახალხო სახლის დარბაზში

(ყოფილ. ზუბალაშვილის სახლი) **შესდგება ტფილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.**

ამავე რიცხვს ამავე შენობაში საღამოს 7 საათზე შესდგება საბჭოს პლენუმის სხდომა.

**საკითხები:**
1. საბინაო პოლიტიკა.
2. მოხსენება აღმასკომის პრეზიდიუმის მუშაობის და მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ.
3. მოხსენება კომზაგესის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

**პრეზიდიუმი.**
№ 321—2—1

ხვალ, კვირას, აპრილის 22 (ახ. სტილით) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ქ. ქუთაისის III-ე ტეხნიკუმის 5-ე კლასის მოსწავლის

## შუშიკო მხეიძის ასულის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა—მაკრინე ტარიელის ასული, მამა—სერგი ბესარიონის ძე; ძმები—აკაკი, კოტე, ბესარიონი და მელიტონ მხეიძენი; დები—ვერა მესხისა და ელენა ნიშნიანიძსა; რძლები—იულია ალექსანდრეს ასული, თამარა გიორგის ასული და ნინა ილიას ასული მხეიძისა და სიძეები სევერიან მესხი და პოლიკარპე ნიშნიანიძე.

№ 407—1—1


## ახალი ლოზანა

ახალი ლოზანა მზადებაშია. ოსმალეთის დელეგაცია უკვე გავიდა სტამბოლიდან ლოზანისაკენ. დელეგაციას ხელმძღვანელობს ისმეტ-ფაშა. დელეგაციას ხელმძღვანელი კატეგორიულ ფორმებში გვიუბნება, რომ იგი მიდის ლოზანაში საპატიო ზავის დასადებად, ხოლო თუ იქნა ცდა ოსმალეთის ინტერესების შებღალვისა, ეს ცდა ენერგიულად იქნება უარყოფილი.

დღეს არ არის საკვირველი ისმეტ-ფაშის ასეთი განცხადება. შეიძლება მას გუშინ ასეთი რამ ვერ ჩაედინა, რადგან საფრანგეთ-ინგლის შორის უფრო მეტი შეთანხმება არსებობს ახალ ლოზანაში, ვიდრე არსებობდა ძველში, მაგრამ საშაგიეროდ ოსმალეთის დელეგაციას ზურგს უმაგრებს, ახლად შეძენილი „მეგობარი“ კონცესიების გაცემიდან, ამერიკა, რომელიც მართალია მოკავშირეებზედ ნაკლებად არ მოახდენს კონცესიების უტილიზაციას და ექსპლოატაციას, მაგრამ იგი უპირისპირდება ოსმალეთის ისტორიულ მტერს—მოკავშირეთა სახელმწიფოებს და ამდენადვე „მეგობრულ“ მდგომარეობაში არის ოსმალეთთან.

მკითხველს მოეხსენება, რომ ჩესტერის კონცესიამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მოკავშირეთა შორის. არქივიდან გადმოქექილი იქნა ყველა დოკუმენტები ოსმალეთის იარლიკით და აღმოჩნდა, რომ ამერიკას ვითომც უფლება არ ქონია მოსულის ნავთზედ შეედავოს მოკავშირეებს, საფრანგეთის გენერალი პელლე პროტესტს აცხადებს ამერიკის წინაამდეგ, მაგრამ ამერიკის პოლიტიკური წრეები თავისი მხრით აცხადებენ, რომ ისინი დაიცავენ „ყოველივე საშუალებებით“ თავის ქვეშევრდომთა უფლებებს. ეს განცხადება არ არის მარტო დიპლომატიური პროტესტის უბრალო ფორმულა. ამერიკის მიერ „ყოველივე საშუალებებით“ დაცვა თავისი ქვეშევრდომის ამ კონკრეტიულ პირობებში საქმის გართულებისას, უდრის მოკავშირეთა წინაამდეგ **„ყოველივე საშუალების“** გამოყენებას, ხოლო ეს მეტად ცუდ ხასიათზედ დააყენებს მოკავშირეთა პოლიტიკურ წრეებს.

ამერიკას აქვს ჯერ კიდევ გაუხროლელი ზარბაზნები და თუ მან დიპლომატიით, თავის მატერიალური რესურსებით, „მშვიდობიანი გზით“ ვერ შესძლო მოკავშირეთა მოდრეკა, როგორც აქამდე, მაშინ ზარბაზნების ახმაურებაც შეარყევს პოლიტიკურ ატმოსფერას.

გენერალი პელლე არ ცდება, როდესაც ხედავს სერიოზული განხეთქილების შესაძლეობას ოსმალეთ-საფრანგეთს შორის, რაც დაკავშირებულია ჩესტერის კონცესიასთან.

არც ისმეტ-ფაშა კარგავდა უბრალოდ დროს ამერიკას ადმირალ ბრისტოლთან საუბრით, ფიზიკური კანონი—როდესაც მოპირდაპირე მიმართულებით თანაბარი ძალები ეწევიან რაიმე საგანს, საგანი უძრავ მდგომარეობაში რჩება.

ეს კანონი არა ერთხელ განხორციელებულა ამ. წოდებულ პოლიტიკური წონასწორობის სისტემით. დღესაც ეს პოლიტიკური წონასწორობა ქმნის პირობებს, რომ პარიზში და ლონდონში სულიერ მამათა სამლოცველოს თავს ჯვარი ადგია, ხოლო მოსკოვსა და ტფილისში ამ სამლოცველოს თავს დაფრიალებს წითელი დროშა.

ამ წონასწორობის გამო არის შესაძლებელი, რომ ინგლისი საფრანგეთს ხელებს უხსნის რურში, რომ იქ თავისუფლად შეღებოს უკანასკნელმა თავისი ხელი გერმანული სისხლით, რომ მან სამაგიეროდ კერზონის გაქნილ დიპლომატს აღარ გადაეღობოს ახალ ლოზანაში.

პოლიტიკური წონასწორობა უწყობს ხელს, რომ ისმეტ-ფაშამ ამაყად განაცხადოს, რომ იგი ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევს მოკავშირეებს თუ კი უკანასკნელნი მოინდომებენ ოსმალეთის ინტერესების შელახვას.

ასეთია დღეს პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობა. უმთავრესი აქ ის არის, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ერთმანეთს ებრძვიან, ერთმანეთის წინააღმდეგ შესაძლებელი ხდება მათი გამოყენება, ხოლო მათ შეერთებული ძალით, საერთო ფრონტით არ შეუძლიათ გამოსვლა არსად, სულ ერთია ეს იქნება ოკეანეს გადაღმა გიორგი ვაშინგტონის სახელობის ქალაქში იუზის მაგიდასთან, თუ ახალ ლოზანაში კერზონის საბანკეტო სუფრასთან.

თუ ობიექტიურად შეუძლებელი ხდება გაბატონებულთა ინტერესის შეთანხმება, ასეთივე მდგომარეობა არ არის დამონებულთა ბანაკში. გაჭივრება, საერთო მტერი საუკეთესო პირობაა ერთმანეთთან დაახლოვების. ამიტომ შესაძლებელი ხდება დაახლოვება საბჭოთა რესპუბლიკების, ოსმალეთის და გერმანეთის, რომელნიც განიცდიან მოკავშირეთა მიერ შეტევას. აგრეთვე შესაძლებელია ამერიკის დადებითი როლი ამ ძალების მიმართ, რადგან საერთო ფრონტში მოკავშირების წინააღმდეგ იგი დაინტერესებული პირია.

ჩვენ ამას წინეთ გამოვთქვით აზრი ახალი ლოზანის შესახებ. ჩვენ მიერ აღებული ანალიზი ძალთა ურთიერთობისა თანდათან ნათელი ხდება. თუ რაიმე ახალი გარემოება წამოიჭრა არ იქნება გასაკვირი, რომ მოკავშირეთა დიპლომატია აქაც დამარცხებული გასტროლიორის როლში მოგვევლინოს, როგორც წასულ კონფერენციაზე და ძველ ლოზანაში.

## პრესა

„კომუნისტი“ (№ 88) მეთაურში მოუწოდებს ორგანიზაციებს 1 მაისის მზადებისათვის და აღნიშნავს, რომ:

„ჩვენ ვსულდგმულობთ მსოფლიო რევოლიუციის იმედით, ვიცით, რომ თუ დასავლეთის პროლეტარიატმა დროზე არ იგდო ხელთ ძალა-უფლება, თუ მან დროზე არ გამოგვიწოდა დახმარების ხელი, ჩვენ მარტონი ვერ გავსძლებთ, ვერ ავიტანთ მსოფლიო კაპიტალის გარემოცვას და იერიშებს. მსოფლიო რევოლიუციის მოლოდინში ჩვენ ვამაგრებთ პოზიციებს საკუთარ ქვეყანაში, ვცდილობთ მანამდე შევინარჩუნოთ ძალა-უფლება და განვამტკიცოთ იგი ყოველ მხრივ.

მეორე მხრივ ცხადია ისიც, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლებას ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. ეს ბორკავს შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიას, ზურგს უმაგრებს იქაურ მუშათა კლასს და ჰმატებს ბრძოლის ხალისს და ენერგიას. ამიტომ განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლებისა ჩვენში,—ეს ერთ-ერთი თავდებია და პირობა მსოფლიოს მუშათა კლასის გამარჯვების“.

„ამას გარდა ჩვენ გვაქვს მრავალი ადგილობრივი ხასიათის საჭირბოროტო საკითხები, ერთი ასეთი საჭირბოროტო საკითხი გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის შემდეგი განმტკიცება. საბჭოთა რევოლიუცია, საბჭოთა წყობილება ემყარება ორ სოციალურ ძალას—პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას, რომელიც შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას“...

„ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ, თუ გლეხობის მასსა განუყრელად იქნება მუშათა კლასთან და მისი უბადლო ხელმძღვანელობის ქვეშ. ამისათვის საჭიროა არა მარტო იდეური კამპანიის წარმოება, არამედ უმეტესად პრაქტიკული, რეალური ზომების მიღება გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

დიახ, ეს არასდროს არ უნდა ყოფილიყო დავიწყებული. არ კმარა არც კამპანიები, არც წერა: საჭიროა ჩვენ მშრომელ გლეხობას საქმით დაუმტკიცოთ, რასაც ვპირდებოდით.

## ტელეგრ.-ტელეფონით

### რურის ოლქის ოკუპაცია

**უმნიშვნელო ავტორიტეტის დაკარგვის**

**ბერლინი.** 19 აპრილი, გერმანიის მთავრობის კომისარმა დაკავებულ რეინის ოლქში ფონ-გარცფელდმა მიიღო რეინლანდის უმაღლეს კომისიისაგან წინადადება დასტოვოს თავისი თანამდებობა. კომისია ასაბუთებს ამ წინადადებას იმით, რომ გარცფილდის რეინალანდში დარჩენა შეარყევს რეინლანდის კომისიის ავტორიტეტს. გარცფილდმა პროტესტი განაცხადა კომისიის ამ დადგენილების გამო და აღნიშნა დადასტურებულ იქნა ელჩთა კონფერენციის კომისრის მიერ. პროტესტი განაცხადა აგრეთვე გერმანიის მთავრობაც.

**გაბედულ მოქმედებისაკენ**

**ბერლინი.** 19 აპრილი. გაზეთ „ეკო დე პარის“ ცნობით, პუანკარეს და ტენისის შორის გამართულ თათბირზე ბრიუსელში გადასწყდა გადავიდნენ გაბედულ მოქმედებაზე გერმანელების მიმართ რურში.

**რა უჯდება ოკუპაცია ინგლისს**

**ბერლინი.** 19 აპრილი. შეკითხვაზე ინგლისის მთავრობამ თემთა პალატაში განაცხადა, რომ ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების შენახვა გერმანიაში მთავრობას უჯდება ყოველ კვირეულად 34000 გირ.

**უმუშევართა მღელვარება.**

**ლონდონი.** 19 აპრილი. რურში მოხდა სერიოზული მღელვარება უმუშევართა შორის. მიულგაიმში შეიკრიბა უმუშევართა მრავალრიცხოვანი ბრბო, რომელიც მოითხოვდა მთავრობის დახმარების გადიდებას; მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რასაც შედეგად მოჰყვა ერთი უმუშევრის მოკვლა და მრავალის დაჭრა. უმუშევართა მღელვარების შესახებ იტყობინებიან აგრეთვე დიუსბურგიდან და დორტმუნდიდან.

**საოკუპაციო ჯარების გადიდება**

**პარიზი.** 19 აპრილი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ და ბელგიის სამხედრო მინისტრმა გადასწყვიტეს გაადიდონ ჯარების რიცხვი დაკავებულ ოლქებში.

### ახლო აღმოსავლეთი.

**გენ. პელლეს განცხადება.**

**ანგორა,** 19 აპრ. სტამბოლში ფრანგმა გენერალმა პელლემ განაცხადა, რომ საფრანგეთ-ოსმალეთის შორის აუცილებელია სერიოზული კონფლიქტი ჩესტერის კონცესიის გამო.

**ისმეტ-ფაშას განცხადება.**

**პარიზი.** 18 აპრილი. ისმეტ-ფაშამ სტამბოლში განაცხადა, რომ ის ლოზანაში მიემგზავრება სურვილით დასდვას საპატიო ზავი. ყოველგვარი ცდა ოსმალეთის დასამონებლად სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდება. სტამბოლში ისმეტ-ფაშას თათბირი ქონდა ამერიკის ადმირალ ბრისტოლთან.

**ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება.**

**პარიზი.** 18 აპრ. ოსმალეთის დელეგაცია ისმეტ-ფაშას მეთაურობით სტამბოლიდან ლოზანას გაემგზავრა, დელეგაციაში შედის 35 თანამშრომელი.

**სასოფლო-სამეურნეო აღწერა.**

**ანგორა,** 18 აპრილი. ოქტომბერში გაიხსნება ანატოლიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენა გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთის ფირმები და მრეწველობა.


**გენ. პელლეს განცხადება.**

**ანგორა,** 18 აპრილი. სტამბოლში ფრანგმა გენერალმა პელლემ განაცხადა, რომ საფრანგეთ-ოსმალეთს შორის აუცილებელია სერიოზული კონფლიქტი ჩესტერის კონცესიის გამო.

**ისმეტ-ფაშას განცხადება.**

**პარიზი.** 18 აპრილი. ისმეტ-ფაშამ სტამბოლში განაცხადა, რომ ის ლოზანაში მიემგზავრება სურვილით დასდვას საპატიო ზავი, რომელიც უზრუნველყოფს ოსმალეთის უფლებებს, ყოველგვარი ცდა ოსმალეთის დასამონებლად სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდება სტამბოლში ისმეტ-ფაშას თათბირი ქონდა ამერიკის ადმირალ ბრისტოლთან.

**ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება.**

**პარიზი,** 18 აპრილი. ოსმალეთის დელეგაცია ისმეტ-ფაშას მეთაურობით სტამბოლიდან ლოზანას გაემგზავრა, დელეგაციაში შედის 35 თანამშრომელი.


### რუსეთი.

**უკრაინაში.**

**კიევი.** 17 აპრ. ამ ჟამად სავსებით გამორკვეულია კიევის საკონტრაქტო ბაზრობის შედეგები. ბაზრობაში მონაწილეობას იღებდენ 284 ფირმა, მათ შორის 63 უცხოეთის და 13 კერძო. უცხოელ ფირმებთა შორის უმრავლესობას წარმოადგენდენ პოლონეთის, გერმანიის და ავსტრიის ფირმები. ბაზრობის ტრიალი შეადგენს 8 მილ. მანეთს ოქროთი, რაც აღემატება ომამდის არსებულ ტრიალს 2 მილიონით. მთელი გაყიდული საქონლის 63 პროც. შეიძინა კოოპერატივებმა და 35—უცხოეთის ფირმებმა. ბაზრობაზე მომხდარ მორიგებათა 99 პროც. გავიდა საბირჟო კომიტეტში. ბაზრობა თავის შედეგების მხრივ არაჩვეულებრივად გამარჯვებულია.

**შემნახველი სალაროები.**

**ხარკოვი.** 17 აპრ. შემნახველ სალაროების გახსნა უკრაინაში იძლევა საუკეთესო შედეგებს. სალაროებში შემოვიდა 3 ნახ. მილ. მანეთი, აქედან 200.000 მან. გაცემულია. შემოსულ თანხების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს კიევის და შემდეგ ხარკოვის გუბერნიებს.

## უცხოეთი

**ორი მეგობარი.**

**ბერლინი.** 18 აპრილი. ამერიკის პრეზიდენტ გარდინგს და ფოლადის ტრესტის თავმჯდომარეს (დამახინჯებულია) ძლიერ აწუხებს მუშა ხელის სიმცირის შესაძლებლობა ამერიკაში გადმოსახლების შეზღუდვის გამო. ამერიკის მთავრობის წრეებში განზრახული აქვთ ახალი კანონ-პროექტის გამომუშავება.

**ეძებენ დე-ვალერას.**

**ბერლინი.** 18 აპრილი. ირლანდიის მთავრობის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ტიპერარის საგრაფოს, სადაც იმედი აქვთ ხელთ ჩაიგდებენ დე-ვალერას, უსტერფორდის საგრაფოში დაატუსაღეს ირლანდიის აჯანყებულთა პირველი და მესამე დივიზიის შემადგენლობიდან რამდენიმე პირი.

**პოლონეთის თავდასხმის მოლოდინში.**

**პარიზი.** 19 აპრილი. ზემო-სილეზიიდან მიღებული ცნობებით, იქაურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ პოლონეთის თავდასხმის მოლოდინის გამო.

**ნაციათა ლიგის სესია.**

**რომი.** 18 აპრილი. ჟენევაში გაიხსნა ნაციათა ლიგის საბჭოს სესია. თავმჯდომარეობს ინგლისის წარმომადგენელი ვორდი.

**მოლაპარაკება.**

**რომი,** 18 აპრილი, რომში ჩავიდენ სამხრეთ-სლავეთის დელეგატები. ადრიატიკისა და ფიუმეს შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს პარიტეტული კომისია.

**იტალია-ავსტრიის სავაჭრო შეთანხმება.**

**რომი,** 18 აპრილი. ნაციათა ლიგის კომისარი ავსტრიაში, ციმმერმანი ჩავიდა რომში, სადაც მას თათბირი ქონდა ფინანსთა მინისტრ- დე სტეფანისთან.

**ახალი პარტია.**

**რომი,** 18 აპრილი. რომის დღევანდელ გაზეთებში მოთავსებულია ახალი ნაციონალურ-სახელმწიფო პარტიის პროგრამა. ეს პარტია მოეწყო კათოლიკურ პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ.

**რუმინიაში.**

**ვენა,** 16 აპრილი. რუმინიაში დაპატიმრებული არიან ერთ დროს რუმინიიდან გამოქცეული რევოლიუციონერები ბაბენსკი და ჩიჩენკო, რომელნიც ამას წინად დაბრუნდენ სამშობლოში. მათთან ერთად დაპატიმრებული არის 8 კომუნისტი, რომელთაც ვითომდა ხელი შეუწყვეს მათ გაქცევას.

# რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობა

**ყრილობის გახსნა**

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-12 ყრილობა გახსნა ამხ. კამენევმა, რომელმაც შემდეგი სიტყვით მიმართა ყრილობაზე დამსწრეთ:

„როდესაც აქ თავმოყრილი ჩვენ უნდა შევუდგეთ საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტურ ლაშქარის ძალების დათვალიერებას,“ პირველი ჩვენი კითხვა იქიტკენაა მიმართული, თუ რა გაკეთდა ავადმყოფ ილიჩის ავადმყოფობიდან გამოსაბრუნებლათ. აი ჩვენი პასუხი:

ჩვენ მოვიწვიეთ ყველა ქვეყნებიდან საუკეთესო ექიმები. იმათ გვითხრეს:

„ილიჩის ავადმყოფობა მეტად მძიმეა, მაგრამ მისი მდგომარეობა სრულებითაც არ არის უიმედო.

მისი ავადმყოფობა გამოწვეულია უკიდურეს დაღლილობით.

ამ ჟამად საშიში არაფერია.

ექიმები ამბობენ, რომ ილიჩის მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამხ. ლენინი მალე სრულებით განიკურნება და კვლავ მოიმარჯვებს მსოფლიო რევოლიუციის საჭეს.

ამხ. კამენევი ახასიათებს ილიჩის ნამუშევარს და აცნობს ყრილობას იმ საკითხებს, რომლებიც უნდა გადასწყვიტოს ყრილობამ. თუმცა ილიჩი ეხლა აქ ჩვენთან არ არის, მაგრამ ის მაინც უწევს ხელმძღვანელობას მას.

**პრეზიდიუმის არჩევნები.**

ამხ. კამენევის სიტყვის შემდეგ ყრილობა შეუდგა პრეზიდიუმის არჩევნებს. აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: არისტოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ზალუცკი, ზინოვიევი, კალინინი, კამენევი, კოსიორი, კოროტკოვი, ლაშკევიჩი, ლენინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, პეტროვსკი, რუძუტაკი, რიკოვი, სტალინი, სულტან—ხაჯიევი, ტომსკი, ტროცკი, უგლანოვი ფრუნზე და ხარიტონოვი. მდივნებად აირჩია ამხ. კუიბიშევი, ენუქიძე, კოროსტელოვი, ვოლოშჩინი და ბუბნოვი. გაზეთებში გამოცხადებული ყრილობის დღიური წესრიგი და სხდომის წესი ყრილობამ ერთხმათ დაამტკიცა.

**ამხ. ზინოვიევის მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.**

შესრულდა თუ არა პარტიამ და ცენტრალურმა კომიტეტმა დანაპირი? ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლიან დასტურით ვუპასუხოთ. უკან დახევა ჩვენ უკვე შევაჩერეთ და ზოგიერთ დარგებში ჩვენ შეუდექით კიდევაც შეტევაზე გადასვლის სამზადისს. გასულმა წელმა იმდენით განამტკიცა და გაამაგრა საბჭოების ძალა-უფლება, რომ ჩვენი უკიდურესი მოსისხლე მტრებიც კი აღარ ფიქრობენ ამ ძალაუფლების დამარცხებაზე.

თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გარეგანი საფრთხე აცილებულია, მაგრამ დარჩა კიდევ შინაგანი საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია „ნეპის“ გარდამავალ ხანასთან.

იმპერიალისტურმა ომმა გაჰყო კაპიტალი ორ მოჯიშე ბანაკათ: ერთი მხრით არის გამარჯვებული რეაქციონური იმპერიალიზმი, ხოლო მეორეს მხრივ—დამარცხებული ბურჟუაზიული ქვეყნები. ეს უკანასკნელები იძულებულნი არიან დაუმეგობრდენ პირველ გამარჯვებულ პროლეტარულ რესპუბლიკას. გერმანიის ბურჟუაზიას არ ძალუძს აწარმოოს იმპერიალისტური პოლიტიკა და ამიტომ, იძულებულია შეუთანხმდეს საბჭოთა რუსეთს.

მეორე დიდ მნიშვნელოვანი საკითხი არის აღმოსავლეთის საკითხი. ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს შეადგენს პირველ გამარჯვებულ პროლეტარულ რესპუბლიკის და ძილიდან გამორკვეულ აღმოსავლეთის მოქმედების შეთანხმება, უკეთ რომ ვსთქვათ შეერთება და აგრეთვე იმ დაჩაგრულ ხალხთა შემოერთება, რომლებიც იმედის თვალით შემოგვყურებენ დღეს ჩვენ.

ჩვენ ხშირად გვეკითხებიან: იქნება თუ არა ომი, როგორი იქნება ის და რა მნიშვნელობა ექნება და რას იზამს რუსეთი ამ ომში. ამხანაგებო, ომი დღესაც სწარმოებს. ის, რაც ხდება რურში,—ომის გაგრძელება არის.

დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას, თუ რამდენი წლის შემდეგ დაიწყება ომი, მაგრამ ახალი ომი რომ აუცილებლად მოხდება ამაში ეჭვი არ არის. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის და ვეცადოთ, რაც შეიძლება შორს გავწიოთ ის დრო, როდესაც ჩვენც ძალაუნებურათ ჩაგვაბამენ ევროპის ახალ ხოცვა-ჟლეტაში. ჩვენ გვჭირია და გვინდა მშვიდობიანობა. ეს აუცილებელია ჩვენი მეურნეობის აყვავებისათვის. კაპიტალისტებმა იჩხუბონ რამდენიც უნდათ,—მსოფლიო რევოლიუცია ამით არაფერს წააგებს.

ჩვენმა ყრილობამ უნდა დაადასტუროს, რომ საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს ხელში რჩება.

ჩვენ უნდა შევუერთდეთ იმ აზრს, რომელიც გამოსთქვა ამხ. **ლენინმა** ამის შესახებ, ე. ი. საბოლოოდ უნდა მოვსპოთ ყოველგვარი კამათიც კი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხის გარშემო. დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობისათვის ჩვენი პურის საკითხს. აქამდე ჩვენ პური არ გვქონდა, ამიტომ არც პურის ფასებს ჰქონდა მნიშვნელობა, ხოლო ეხლა კი, როდესაც ჩვენ პური მლომად მოგვივიდა—გამოირკვა, თუ რამდენათ ჩამორჩა პურის ფასები დანარჩენ საქონლის ფასებს. ეს ვარემოება დამღუპველია ჩვენი მრეწველებისათვის, ვინაიდან გლეხობას არაფრის ყიდვა და შეძენა თავის მეურნეობისათვის არ შეუძლიანთ. ამიტომ დაიბადა სწორედ საკითხი ჩვენი პურის საზღვარ-გარეთ გატანის შესახებ.

ჩვენ თვალწინ გაიარა სრულმა ერთმა წელიწადმა, რაც ჩვენ ვმუშაობდით ახალ ეკონომიურ პირობებში. „ნეპი“ იყო და არის სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის სისტემის გამომხატველი.

სწორეთ ამ განვლილმა გამოცდილებამ დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ „ნეპი“ მუშების ყვლეფის ახალი სისტემა კი არ არის, არამედ ის არის სამეურნეო აღმშენებლობის ახალი და სრულებით სწორი სახე. ის ჩვენთვის საჭირო იყო იმისათვის, რომ გვგვება მჭიდრო კავშირი პროლეტარიატსა და გლეხებს შორის. ჩვენ დავინახეთ, რომ წინასწარ განზრახულში არც მოვტყუვებულვართ.

**საღამოს სხდომა.**

**მოსკოვი.** 18 აპრილი. ყრილობის საღამოს სხდომაზე 17 აპრილს მოსმენილი იქნა ც. კ. საორგანიზაციო ანგარიში, რომელიც გააკეთა ამხ. სტალინმა და სარევიზიო კომისიის მოხსენება. ყრილობას თავმჯდომარეობს ამხ. კამენევი. სხდომის დასასრულს მოსმენილ იქნა კომინტერნის სხვა და სხვა სექციების მისალმებანი.

**ცეკას საორგანიზაციო ანგარიში**
**(სტალინის მოხსენება).**

სტალინის მოხსენება შესდგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ლაპარაკია მუშათა კლასისა და პარტიას შორის ორგანიზაციულ კავშირზე, იმ მასიურ ორგანიზაციების შესახებ, რომელთა საშუალებით პარტია ხელმძღვანელობს მუშათა კლასს. მეორე ნაწილი შეეხება გლეხობასა და მუშათა კლასის ორგანიზაციულ კავშირს და ამ კავშირის საშუალებებზე. მესამე ნაწილი ეხება თვით პარტიას, როგორც ორგანიზმს, რომელიც აყენებს ლოზუნგებს და ამოწმებს მათ ცხოვრებაში გატარებას.

პირველი ძირითადი აპარატი, ამბობს ამხ. სტალინი, არის ის აპარატი, რომელიც პარტიას მუშათა კლასთან აკავშირებს. ეს აპარატი არის პროფკავშირი. საანგარიშო წლის განმავლობაში პარტიამ გაამაგრა და განამტკიცა კავშირების ხელმძღვანელი ორგანოები. წარსული ყრილობის დროს კავშირებში ითვლებოდა 6 მილიონი წევრი, ა[...] წელს კი—4.800.000 ეს თუმცა შარშანდელთან შედარებით ნაკლები ციფრია, მაგრამ უფრო რეალურია, პარტიის გავლენა პროფკავშირებში საგრძნობათ გაიზარდა. ეს ფრონტი შეიძლება უზრუნველყოფილათ ჩაითვალოს.

მეორე საშვალება, რომელიც პარტიას მუშათა კლასთან აკავშირებს, არის კოოპერაცია. აქაც უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის გავლენა როგორც საგუბერნიო ის პირველ საფეხურის კოოპერატივებში საგრძნობათ დიდია.

შემდეგ ამხ. სტალინი ეხება რა სახელმწიფო აპარატს, როგორც საორგანიზაციო საშვალებას, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის გასამყარებლად, აკეთებს დასკვნას, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი უნდა გამარტივდეს და გაუმჯობესდეს. საჭიროა მისი გაძლიერება და მისი მორალური ავტორიტეტის ამაღლება გლეხების ფართო მასებში.

წარსულ წელში „ათასის“ მობილიზაცია ჩაიშალა, რადგან მობილიზაციით გაწვეულ 700 კაციდან მუშაობისთვის გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ სამასი. ჯერჯერობით საალრიცხველო-განმანაწილებელი განყოფილების მუშაობა იზღვრება ამხანაგების აღრიცხვით და განაწილებით სამაზრო, საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებში. ახლა, როცა დღევანდელ პირობებში მასიური მობილიზაციები შეუძლებელია, როცა მუშაობა ღრმავდება, ასეთი უთავბოლო მობილიზაციები მხოლოდ აფუჭებს საქმეს.

ამ ჟამად ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გააფართოვოს საალრიცხველო-განმანაწილებელი აპარატი, როგორც ცენტრში, ისე ადგილებში, რათა პარტიას საშუალება მიეცეს აღინიშნოს ჩვენი უფრო წარმომადგენლობა ტრესტებში და სამეურნეო ორგანოებში. ჯერჯერობით მოხერხდა ჩვენი მრეწველობის უფროს წარმომადგენლობის აღრიცხვა. გამოირკვა, რომ საერთო შემადგენლობის კომუნისტების [...] პროცენტი განაგებს ყველაზე დიდ სამრეწველოებს, რომლებიც თავს უყრიან 800.000 მეტ მუშას. [...] პროცენტი უპარტიო დირექტორები განაგებენ წვრილ წარმოებებს, რომლებიც აკავშირებენ 250.000 მეტ მუშას. გამოცდილება გვიკარნახებს, რომ საალრიცხველო განმანაწილებელი აპარატის მუშაობა გაფართოებული უნდა იქნეს, რათა პარტიამ შესძლოს წარმოების შევსება კომუნისტებით, რომ ამით განახორციელოს თავისი ხელმძღვანელობა სახელმწიფო აპარატზე.

# იაფეტიზმის კვალი

**სომხურ ენაში**

(დასასრული *)

III

იაფეტიანთ ენები, რომელთა ჯგუფსაც ქართულ, სვანურ, ჭანურ, აფხაზურს გარდა ეკუთვნის აგრეთვე ლეკურ-ჩერქეზული პირდაპირ სემიტური არ არის, მაგრამ სემიტიზმის დამახასიათებელი ბევრი რამ მოეპოვებათ როგორც სიტყვის ძირი, ისე გრამატიკული ფორმა. ქართულ ენას, მაგალითად, აქვს ერთი ისეთი სემიტური ფორმა, რომელიც მისი სულის დგმა არის. იგია თავსართი **მ**, რომელიც სხვა და სხვა ხმოვან ასო დართული გამოითქმის **მა მე, მო** და იხმარება, როგორც ზმნის ვითარების (**მ**წველი, **მ**წვარი, **მ**წვადი), ისევე ცალკე სიტყვებისათვის (**მ**ცხება, **მ**ართალი, **მ**უხა), რომელიც ზოგჯერ არიული ძირებისგან წარმომდგარა როგორც მაგ. **მართალი** (ბერძ. ორთოს), **მუხა** (გერ. **ეიხე**), **მხარე** (ბერ. ხორე) და სხვა.

სომხური ენა თუმცა გაარიულებულა, მაგრამ, რაკი ქართველთ ეროვნული კოლექტივის წიაღითგან გამოსულა, მასთან, ე. ი. მის ენებთან ნათესაობის ნასახად, ძირებსა და ჩასართებს გარდა, პირდაპირ გრამატიკული ფორმაც გამოჰყოლია. ასეთია სწორედ ის თავსართი **მ** მრთელი წყება სიტყვებისათვის, როგორიც არის მაგალითად **მეკ, მკრატ, მკრტიჩ, მარგარე, მატეან, მატალ, მაცარ, მელრ, მელუ, მეწ, მიჯაკ, მეჯ, მიუს, მეელ**, რომელთაც ფილოლოგიური განმარტება შემდეგია:

**მეკ** სახელ რიცხვია და ჰნიშნავს ერთსა. აფხაზურ ენაში აკ ერთსავე იტყვის და მისგან სწარმოებს **კაკალი** (მარტო ერთი) და **კიკო** (სათამაშო ქალალდი ერთიანი). მათი თავსართი **კ**, რომელიც ზოგჯერ **ქ** ხმად ქცეულა, ისეთივე საბგერალია, როგორც **სკუა** (ძველი **სუ** ძირისაგან), **კიმპალი** (ბერძ. ამპელოს) და **ქმარი** (სვან. მარე—კაცი) სიტყვებისათვის. ნადირ არიელთა შემოხიზნვამდე მესოპოტამიაში რაიც უნდა მომხდარიყვეს მეცხრე საუკუნეში ქრისტეს წ. შ., ქართულ ენაში ერთის მაგიერ უნდა ყოფილიყვეს **მაკ**, მაგრამ როცა მომხდარა იმიგრაცია და მის გამო ურხალდუ ხეთის ხალხის ენები შერეულა, სომხებს შეჰრჩენიათ იაფეტური **მაკ**, რომელიც გამოუთქვამთ **მეკ**, აფხაზებს სემიტური თავსართი **მ** დაუკარგნიათ, ხოლო ქართველებს შეუთვისებიათ შემოხიზნულთა სიტყვა **ერთი**, ფარდი გერმანულ **ერსტე** სიტყვისა, რომელიც ჰნიშნავს პირველსა. ასევე მოსულია მეგრულ ენას. აქაც სათვალავად იხმარება **ართი** (ერთი), მაგრამ ლაპარაკში მაინც დარჩენილა გამოთქმა **აკა**, რომელსაც ისეთივე აზრი აქვს, როგორც ერთის გამოთქმის დროს, ერთი წყალი მასვი.

**მკრატ** წარმოადგენს შემოკლებულ მიმღეობას რომელსაც დაბოლოება **ელი** მოჰკვეცია. ასე რომ **მკრატ** იგივ **მაკრატელია**. მათი ძირია **მკრატ**, იგივ **მკრეტ**. რომელთაგანაც პირველი გამოთქმულა **კრაჰ** (კრაჰუნი), ხოლო მეორე **კრეჰ** (კრეჭა). მათი ფარდია ლათინური **კაედ** (კაედო, ცედო) რომელიც დასდებია საფუძვლად **კოდვა, კვეთა, კვეცა ცვეთა** სიტყვებსა, მაგრამ გაჩენილა აგრეთვე **რ** საბგერალი ხმა, რაც ქართულს ერთობ უყვარს (ფთა=ფრთა) და ამის გამო ხმათა ცვლა ზევრნაირი დამყარებულა (დ=თ=ტ=ც=ჰ). სამი უკანასკნელი ხმის იგივეობის, მაგალითად კმარა დავასახელოთ ლათინური **კატუს** (კატა, ციცა) და **აცერ** (მჭრელი), რომელთაგანაც სწარმოებს **კატა**, იგივე **ციცა** და **აცრა**, იგივ **ჭრა**.

**მკრტიჩ** დღეს იტყვიან ნათლისმცემლად. ეს სიტყვაც წარმოადგენს შემოკლებულ მიმღეობას, რომელსაც დაბოლოება **ელი** მოჰკვეცია. სიტყვა წარმოებულა **კრეტ**, იმავ **კრეჭ** ძირისაგან, რომელიც ჰნიშნავს წაკვეჭას, წაჭრას. უეჭველია სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო წინადამცვეთელი, ე. ი. აღმასრულებელი მოსეს ნამცნები წესისა, რომელიც მოითხოვდა ახლად დაბადებული ყრმის მერვე დღეს წინადაცვეთას. სიტყვის ჩასართი **იჩ** ისეთივეა, როგორ **ბნაკიჩ** სიტყვაში და მნიშვნელობით უდრის ქართულ **ელ** ჩასართსა.

**მარგარე** ჰნიშნავს წინასწარმეტყველსა და წარმოადგენს აგრეთვე მიმღეობასა. მისი ძირია **რგ**, ფარდი **რქუ** (რქვ) ძირისა, რომლისგანაც წარმომდგარა **რქუმა** (რქვმა), სვანური **როქ**, მეგრული **რაგიმი**, ხმარებული ყველა თქმის, თხრობის აზრით ასე, რომ **მარგარე** ითარგმნება მთქმელად, მოლაპარაკედ და წარმოებულა აწმყო მიმღეობის **არ** ჩასართის დახმარებით (**მრქვარ**, **მრქარ**), აწმყო მიმღეობის წარმოება ძირის და არის საფუძვლისაგან მიღებულია ისევე, როგორც აწმყო დროისთვის, მაგ. **ვედრ**—მვედრი (ვედრება—მავედრებელი), **ვნ**—მავნე (ვნება—მავნებელი).

**მატეან**, იგივ **მატიანე** წარმოებულა **ატენ** სიტყვისაგან, რომელიც ჰნიშნავს დროს ასე, რომ **მატეან**, ანუ **მატეანე** იაფეტურ ფორმას წარმოადგენს **მ** თავსართიანს და მიღებულია შემდეგში მეგლად, რომელიც დრო და დრო იწერებოდა.

**მატალ** სიტყვის ძირია **ტალ**, იგივ **ტლ**, რომლისაგანაც სწარმოებს **ტლა**—ყმაწვილი. **ტალ**, ან **ტლ** არის იგივ **ტუვ** (ტყვე), ან **ტყ** (მეგ. ტყა), რომელიც ჰნიშნავს მონას, პყრობილს. **მატალ** ახალგაზდას გარდა ჰნიშნავს აგრეთვე მსხვერპლსა. ძველად როგორც ქართველთ და ალბანელთ, ისე სომხეთ შორის იყო ყრმის მსხვერპლად შეწირვა, ანუ ზორვა, რომელიც საქართველოში აუკრძალავს რევ მართალს მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. დღევანდელი სომხური ძირის **ლ** აიხსნება იმით, რომ **უ** ხმა დაუკარგნია ნადირ არიელთა შემოსევის და მათთან შერევის მიზეზით.

**მაცარ** საწკეპლე, სალელრჭე ტყეს ჰნიშნავს. მისი ძირია **აცარ** იგივ **ეწერ**, რომელიც დღევანდელ ქართულში ეწოდება პატარა, მოჩრილ ტყეს. თუ **ეწერს** აღარ ახლავს იაფეტური თავსართი **მ**, ასეთი გარემოება აიხსნება იმავ არიელთა იმიგრაციით. თუ სომხებს გაჰყოლია იაფეტური ფორმა, როგორც ამასვე ჰმოწმობს **მეკ** სიტყვა, ქართველებს ასეთი ფორმა ზოგჯერ დაჰკარგვიათ ისე, როგორც აფხაზებს, რომელთაც ენაში **აკ** (ერთი) იხმარება **მ** თავდაურთველად. ასეთი პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, რათგანაც რუყევაშია მრავალი სიტყვა მაგალითად **ხხვილი—მხხვილი, ცვარი—მცვარი; ძვირი—მძვირი; ლვდელი—მლვდელი** და სხვა.

**მელრ, მელუ** ორნის ერთნაირად წარმოებულან **მე** თავსართის დახმარებით, მაგრამ პირველი აღნიშნავს თაფლს, ხოლო მეორე ფუტკარს, მეთაფლე მწერსა ძველი ძირი **გოლ**, საიდანაც სწარმოებს **გოლეული**—ველური თაფლი ფარდია **ლრ** და **ლუ** ძირებისა იმ განსხვავებით, რომ **გოლ** გამოთქმულა ხმა სრულად, მაგრამ იაფეტური თავსართი **მე** დაჰკარგვია. ძირი **გო** (შემდეგი გოლ) შეიძლებოდა გამოთქმულიყო იგრეთვე, როგორც **გუე** (ო—უე), რომლისაც **უ** ისმის სომხურ **მელუ** სიტყვაში.

**მეწ** ითარგმნება დიდად და არი იგივ **მე**[...] მათი ძირებია **წ** და **ტ**, რომელიც ერთმანერთის ფ[...]რდია (შეად. **ხწავლა—ხტავლა; კვნიტი—ქვნიწ**[...] ხოლო **ტ** არის პირვანდელი **დ**, რომელიც ერთ[...]რად გამოითქვა **დიდი**. მაგრამ **ტ** ძირისაგან[...] გვაქვს სიტყვები: **ტარ**, რომლისაგანაც სწარმო[...] **მტარვალი ტერ**, რომლისაგანაც არის **ტერება, მ**[...]**რი, ტერ** სომხურადაც უფალს აღნიშნავს, ხოლ[...] ქართული **ტერების** ფარდად იხმარება **ტირ**[...] (ე=ი) იმავ უფლების პატრონობის აზრით. **დ** ძირ[...] ჩამარხულია ცნება დღის, სინათლისა და შექმნ[...]ლა საფუძვლად **დიეს—დღე, დეუს—მდევი** (ღ[...]რთი) ლათინურ ქართული სიტყვებისათვის.

**მიჯაკ, მეჯ** ითარგმნება შუა, შორის. მა[...] ძირია **ჯ**, ხოლო მათი ქართული თანაბარია **შუ**[...] პირვანდელი **შუა** რომლისაგანაც სწარმოებს **შ**[...]**რის** (შუა—რე) აკ სომხური ჩასართის მიზეზით [...]მოთქმულა **ჯაკ**. ხოლო **უ** გამჭრალა **ა**—ნის წ[...] და **შ** ქცეულა **ჯ**—ანად, რაც აგრეთვე ხშირ[...] მაგალითად ერთმანერთის თანაბარია ფრანგულ[...] **მანშ**, მეგრული **მანჯა** და ქართული **მაჯა**: ჭუა[...] და **ჭალი**. მაშასადამე ძველი ქართული **მეშვ** ს[...]მხურში გამოთქმულა ცოტა ხმა ცვლილად ჩას[...]თით **მიჯაკ** და პირდაპირ **მეჯ**. სიტყვე[...] **შუა** და **შორის** ჩარიცხულა ისეთ ჯგუფში, რომ[...]ლიც აღარ ისაჭიროებს **მ** იაფეტურ თავსართსა.

**მიუს** იგივე არის, რაც **ხხუა** (სხო), **უ**[...] დღევანდელ სომხურში ხშირად აღარ ისმის **ხ** ს[...]გერალი ხმა, რის მაგალითსაც გვაძლევს აგრეთ[...] **ზროიც**, თანაბარი ქართული **ზრახვა** სიტვისა.

**მეელ** ჰნიშნავს წვრილ რასმე. სიტყვის **ეელ** თანაბარია **წველ** სიტყვისა, რომელიც ბალა[...] ღერს ეწოდება. ხოლო **წ**—ილის **ჟ**—ანად ქც[...] მოჰყოლია იმ გარემოებას, რომ **ლ** უნდა გამოთქმ[...]ლიყო, როგორც **ღ**, თანახმად სომხური ენის ხმათ[...] ცვლისა.

ასეთსავე იაფეტურ ფორმებს გვიხატავს შ[...]დეგი სიტყვები: **მაწან**, წებოვანი (**წება**, ძ. **წ.**); **წუნ** მაწონი (ძ. **წვენ**, შემდეგ **წველ**, რომელ[...] იხმარება შედედების აზრით, როცა იტყვიან ერ[...] წველა ყველიო) **მელმ**, ლმობიერი, მშვიდი (ლმობ[...] ძ. **ლმ—ლმ**) **მორმოქ**, ვარამი, სევდა (ვარამ, ძ. [...] **რამ—ორმ**) **მურჰ**, ურო, კვერი (ურო ძ. [...] **მრჯიენ**, ჯინჭველი (ჭუა ძ, **ჭუ—ჭუნ**).

ლექსიკაც მდიდარია იაფეტური სიტყვე[...]

*) „ტრიბუნა“ № 448.

# ახალი ამბები

— **ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგება მდ. აჭარის წყალზე.** სახკომსაბჭოს ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, მდ. აჭარის-წყალზე აგებულ იქნება ჰიდრო-ელექტრონის სადგური, აჭარის ელექტროფიკაციის მიზნით.

ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგებისათვის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია, რომელიც მოიწონა სახკომსაბჭოსთან არსებულმა ეკონომიურმა საბჭომ.

— აღნიშნულ საქმის სისრულეში მოყვანა უახლოეს დროში მოხდება.

— **ჩაის პლანტაციის საქმე აჭარაში.** სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურმა თათბირმა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. თახ. ხიმშიაშვილის მოხსენების თანახმად, ფრიად სასურველ მოვლენად აღიარა, რათა აჭარაში სათანადო ყურადღება იქნეს მიქცეული ჩაის პლანტაციის საქმის რაციონალურ და მიზანშეწონილ ნიადაგზე დაყენებას.

წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რათა უკანასკნელმა ეკონომიური თათბირის შემდეგი სხდომისათვის წარადგინოს დეტალური მოხსენება და მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური ცნობებით შევსებული პროექტი აღნიშნულ საკითხის შესახებ.

— **მეფუტკრეობის საქმე აჭარაში.** მიწათმოქმედების კომისარიატი ღებულობს ენერგიულ ზომებს აჭარაში მეფუტკრეობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

— **დახმარება ქუჩის ბავშვებს.** აჭარის სასურკომი სისტემატიურად აძლევს ქუჩის ბავშვებს ყოველგვარ სურსათ-სანოვაგეს ცენტრალმასკომის ანგარიშზე.

— **სასოფლო-სამეურნეო აღწერა.** ამ მოკლე დროში დაიწყება აჭარაში სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარის ცენტრალურ სტატისტიკური ბიურო.

სტატისტიკურ ბიუროს განზრახული აქვს, რათა აღნიშნულ აღწერაში მხურვალე მონაწილეობა მიაღებინოს ადგილობრივ მცხოვრებლების ინტელიგენტურ ძალებს.

— **რამაზანი.** რამაზანის დაწყების აღსანიშნავად 16 აპრილიდან ქალ. ბათომში დაიწყება ზარბაზნის გასროლა 4 პუნქტში: ბათომში, ქობულეთში, ქედაში და ხულოში, შემდეგ რიგით: 16 აპრილს საღამოს გასროლილ იქნება ზარბაზანი სამჯერ, 17 აპრილიდან გაგრძელდება 29 დღის განმავლობაში საღამოობით თითო თითო გასროლა. ბაირამის პირველ დღეს დილით კი სამჯერ.

— **ქუთაისში** განზრახულია ახალი თეატრის აშენება.

ქუთაისის აღმასკომმა დაავალა ქუთაისის თეატრის ახალ მმართველს შეუდგეს მომავალ სეზონისათვის დასის შედგენას. განზრახულია, რაც შეიძლება ძლიერი დასი იქნას მოწვეული.

ქართულ დრამამ დაიწყო ბენეფისების მართვა. ახლო მომავალში გაიმართება ბენეფისი ვასო ბალანჩივაძის, რომელიც თავის საბენეფისოდ დგამს „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“-ს.

— **ოზურგეთი.** ადგილობრივმა აღმასკომმა დაადგინა ადგილობრივ თეატრში, რომელიც რამდენიმე თვით დაკეტილი იყო, განაახლოს წარმოდგენების მართვა. ამ საქმისათვის მოიწვიეს სცენის მოყვარე კ. დოლიძე, მსახიობი ივ. ასკუროვა და მისი მეუღლე.

— **სამტრედია. ამინდი.** გაზაფხული არა ჩვეულებრივ ძლიერ ქარებით დაიწყო. სოფლებში საშინელი გვალვებია, რაც ხვნა-თესვას ხელს უშლის,

შენელებული ტიფი ისევ გამძვინვარდა. სხვათა შორის ავად გახდნენ რკინის გზის მოსამსახურენი.

— **ჯამაგირები მასწავლებლებს.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ აუწყა რაიონულ და მაზრის სკოლებს, რომ შეადგინონ უწყებები მარტისთვის ჯამაგირის მისაღებად.

— **ფართლეული და ტყავეული** არა ჩვეულებრივად გაძვირდა, სოფლის ნაწარმოებთ კი ისევ ჩალის ფასი აქვთ.

— **სახელმძღვანელოები.** სამტრედიის წიგნის მაღაზიებში სახელმძღვანელოების ფასი საათობით მატულობს.

— **სახალხო განათლების კომისარიატის ცირკულიარი.** სახალხო განათლების კომისარიატმა ცირკულიარი დაუგზავნა ქუთაისის მაზრის ყველა სასწავლებლებს, რათა სასწავლებლებში დაუყოვნებლივ შესდგეს სათანადო კომისიები მოწაფეთა ჩამორჩენილობის, თუ წარმატების გამოსარკვევად. ცირკულიარის მიხედვით წელს დაშვებულია გამონაკლისი მოწაფეთა ნიშნების მიხედვით გადაყვანის სუსტ მოწაფეთა გამოცდის მიცემის შესახებ. ბოლო მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლების ამგვარი მეთოდი უარყოფილ იქნება.

— **წარმოდგენები.** წარმოდგენები და კონცერტები ისევ ხშირია, მაგრამ ყველა წარმოდგენებზე და კონცერტებზე ერთ და იმავ სამწუხარო ნაკლს ვხვდებით: ხელოვნების აბუჩად აგდება და ქართული ენის საოცარ იმერიზმებით ავსება.

საერთოდ გ. სიხარულიძის ტრაგიკულად დაკარგვის შემდეგ სამტრედიის თეატრი მწარე სიობლეს განცდის. გ. სიხარულიძე და მთლად მისი ოჯახი იყო აქაურ ქართულ დრამის სულის ჩამდგმელი.

— კვირას, აპრილის 22-ს საღამოს 7 საათზე ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) **ქართული სამეცნიერო საზოგადოების** მორიგ კრებაზე წაკითხული იქნება მოხსენებები: **პროფ. ა. შანიძის** მიერ: „დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი ბოძებული სიგელის დასაწყისი სიტყვები“. **ბ. ჩიქობავას** მიერ: „მთიულური ფონეტიკა“. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

---

მაგალითად **ახელ, არაკ** (არება, აღსარება) **ჰოტ** (აქოთება) **ვაირ** (ბარი), **ბარ** (ბარება, ბრალება) **ბაჰ** (ბარი საკვეთი), **ბანჯღარ** (ბანჯგვლი) **ვეჰ** (ბჭე), **პაიწარ** (პეწი), **მრცელ** (ბრძოლა), **ბოლ** (ბლომი), **ბოლოქ** (ბოლო), **ბოლ** (ბოლოკი), **ქ ბნუთიუნ** (ბუნება, ბნდუ, ბნელი, ბნედა), **ბუხანალ** (ბუსვა), **განგატ** (განგაში) **გალ** გვალე), **ჰომ** (მგვანი) **ჰამ** (გემო) **ქხელ** (გოზვა), **ხოჰკარ** გოჰი), **დარ, ტარ** (დარი, ტაროსი) **დეჰ** (დამი, დმი, **დურ** (დვირე, **ტრტნჯენ** (დრტვინვა, **დონდალ** დონდლო) **არტ** (ერდო), **ანტარ** (ეწერი, **ვარელ** (ურვა), **ფოცხ** (ფარცხი, **ვნახელ** (ვნება), **ხარდ** (ზარდლი) **ზაჰ, ზარჰ** (ზარი) **ხოხაკ ხოხელ** (ზახილი), **ზოჰ** (სვარა), **ხარ, ხარიელ** (ზრვა), **წოვ** (ზლვა), **ზაიგ** (ზეგ), **ზუზათხ** (ზუთხი) **თათახ** (თათხვა), **თაქელ** (თაქება) **თელოლ** (თელა), **თივ** (თვე), **თალარ** (თიხა), **თივრ** (თრომა, **კარახ** (კასრი), **კაფელ** (კაფვა), **ქერწელ** (კაწრვა). **კამქ** (კმა), **კრელ** (კრვა), **კაპე** (კაპი, **ლოთ, გუთ** (კეთილი, **კრაკ** (კერა), **კარელ** (კერვა), **კიც** (კეცა), **კურ** (კვერი), **კალ** (კელი), **ხეც, ცეხ** (კეცი), **კართალ** (კითხვა), **კტრელ** (კოტორი), **კზელ** (კუზვა, კუზი), **კლზი** (კუნძი, კუნძული), **ნამი** (ლამი), **ლოლიუნ** (ლალვა), **ლორძუნქ** (ლორწო), **ლეზუ** (ლოშნა), **ლურ** (ლურსვა), **ქარ** (მაგარი, მყარი, **აძხ** (მარცხენა), **მარტ** (მარცხი), **აჯ** (მარჯვენა), **ხაკ** (მკვახე), **კარ** (მყრალი), **ხოვ** (მშა, მშევა), **შორ** (მჩვარი), **კანაჩ** (მწვანე), **ხირტ** (მკერდი), **კურ** (მკვრივი), **ურახ, ურახალ** (ხარება, მხიარული), **წერ** (მწირი), **მიშტ** (მუდამ), **ლახურ** (ნიახური), **ოჰ** (ოჰვა, მოოჰვა), **პსტიკ** (პატა), **პუჰურ** (პაწა), **ბერან** (პირი), **ბრნელ** პყრობა), **ჟანტ** (ჟამი), **ვურტელ** (ღლურტული), **აროირ** (რვალი), **ჰრჰუმ** (რჰმა, მორჰმა), **ერამ** (რემა), **არუ** (რუ), **სურ** (სრვა), **ჰუის** (სვე), **ზბოხანალ** (სრბა) **სარ** (სერი), **ხეპუჰ, ხეფ,** (სეფე), **ცოლ** (ძველი, ცვარი), **ლაფელ** (სვლეპა) **შარ, შარელ** (სირა, სირვა), **პლინძ** (სპილენძი, **შუნჩ, შნჩელ** (სუნი, სუნთქვა) **ტანელ** (ტანება), **ტ-ტანუმ** (ტატანი), **ტრაქ-ცნელ** (ტკაცუნი), **მტნელ** (ტენა), **ტალძ,** (ტყე), **ფეტურ** (ფთა), **ფრკელ** (ფარვა), **ფახელ** (ფახვა, ფეხი), **შარძ** (ფერცხალი), **ფაიტ** (ფიჩხი), **პარ,** (ფერხული), **ფლხორ** (ფხვიერი), **პოლპატ** (ფოლადი), **ფხფხალ** (ფუსფუსი), **კინ** (ქანწული), **ქალაქ** (ქალა; ქალაქი), **ქამ** (ქარი). **ქუე** (ქვა), **ქაშელ** (ქაჩვა), **გოველ** (ქება) **ქშელ** (ქშევა), **ქცელ** (ქცევა), **ხორან** (ქორი, ქორედი), **ჰიფხელ** (ქსოვა), **კოიტ** (ქუჩი, შექუჩება), **აიტ** (ლაწვი), **ალაკელ** (ლალადი), **კორ** (ღვარი), **ხორ** (ღრმა, ხარო), **გორწ** (ღვაწლი), **ალოტ** (ღვენთი), **კჰეპ** (ღენჭეპო), **კრჰტუმ** (ღრჭენა), **გორალ** (ღრიალი), **წწი** (ღუნწი), **ალმუკ** (ღმუილი), **კვაჩ** (ყაყაჩო), **კაინალ, იენელ** (ყენება), **ვრძინ** (ყურძენი), **ხევ** (შავი), **შინელ** (შენება, **შულად** (შულო), **ჰარ** (ჩრა, ჩარა, მეტიჩარა), **შალ** (ბალი), **ჰხჰალ** (ჩახჩახი) **წეწკუ** (ჩეჩქა), **კპლაკ** (ჩლიქი), **ჰირ** (ჩირი), **წიტ** (ჩიტი). **ჩოგელ** (ჩოქი), **ცახ** (ჩხიბი, ცხება), **ცახ** (ცაცია), **ცახაველ** (ცხავი), **შუტ** (ცეტი, ცქვიტი), **ცანელ** (ცნება), **თხელ** (ცხელი), **წაგუმ წეგ** (ციაგი), **ხნტალ** (ცინვა), **ხოხაკ, ხოხელ** (ციქვა, **ცნორქ** (ცონვა, მცონარე), **ზორ** (ძალი, **ძაინ** ძნობა, ძალი), **წარ** (ძელი, **წანრ** ძნელი, **წერ** ძველი), **ძონ** ძლევენი, **წიწ** ძიძა, ძუძუ), **ატელ** (ძულვა), **წალქ** (წალო), **ჩე** (წე), **კროთელ** (წვრთნა), **ჯურ** (წურვა, წყურვა, წყალი, წყარო, წარალი), **ოწელ** (წება, ამოწება), **გრელ** (წერა), **კათილ** (წვეთი, წთოლა) **წაირ** (წვერი ხისა), **ძეტ** (წერტილი), **წირ, წრელ** (წრე), **წირტ** (წრეტა), **ხურბ** (წრფელი), **ჰივ** (წივილი), **წურ** (წვრილი, წკურვა), **ცირელ** (წირვა), **წწუმბ** (წუმწუმა), **წუწ** (წუწნვა), **წუხ, ხხელ, წხალ წხან** (წუხვა), **ტზზუნ** წუწუნი) **ჰაპიჰ** (ჰა, ჰყაპი, ჰაობი), **ჰალ** (ჰვალი, ჰალი), **წამელ** (ჰამა), **ჰეხქ, ჰაჰითელ** ჰახი, **კჰინ** (ჰინჰარ)ი, **ჰარ** (ჰორი; მჰევრი), **ჰოჰუმ,** (ჰოჰმანი), **ჰუტ** (ჰუკი, ჰუჰული) **ჰუმ** (უმი, ხამი), **ხაშელ** (ხარშვა, ხარშო, ხაში), **ხაჩ** (ხატი), **ჰოდ, ხუმბ** (ხოლი, ხომლი), **ხავ** (ხაო) **ხანძელ** (ხანძარი), **ხოროველ** (ხრაკვა), **ხევ** (ხეიბარი), **ხელარ; ხედოქ** (ხელი), **ხმელ** (ხმევა), **ხიჰ** (ხვიჰი), **ხტიტ** (ხითხითი), **ხმორ** (ხმიადი), **ხოზელ** (ხოცვა), **ხანანელ** (ხუნვა), **დჟოხქ** (ჯოჯოხეთი, ჯახირი), **ჯრლმუდ** (ჯურღმული), **ჯანჯახელ** (ჯახუნი).

ასეთია იაფეტური თვისება სომხური ენისა იაფეტური ენების სომხურთან შედარებით უფრო დაწვრილებით შესწავლა ცხად ჰყოფს ეჭვ მიუტანელად, რომ სომხის ეთნოგრაფიული ჯგუფი არიელთა შემოსევამდე (მეცხრე საუკუნეში ქ. წ.) მესოპოტამიასა და ვანის ტბის მიდამოებში არ არსებობდა და მხოლოდ მასუკან გაჩენილა იაფეტიან ქართველთა კოლექტივის იმ თემთა წიაღიდან, დასავლეთ საქართველოში რო ცხოვრებენ.

**პეტრე მირიანიშვილი.**

# საქართველოს წითელ ჯარში

**საგანგებო განყოფილების დაარსება.** ქართულ წითელ ჯარში არსდება საგანგებო განყოფილება, რომლის მიზანია ქართულ დივიზიის და მასთან მიმაგრებულ ნაწილების შიგნით აწარმოოს სასტიკი ბრძოლა ყოველგვარ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ მტრებთან (შეთქმულებასთან, შავ-ყვითელ აგენტებთან, რომელნიც არიან ანტანტის მიერ დაქირავებულნი), თუ ასეთები აღმოჩნდებიან აგრედვე თანამდებობითი ბოროტმოქმედი ბნელ-ელემენტებისა ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრას.

**სამაგალითო მასწავლებელი.** დივჰოსპიტალის წითელ არმიელნი გულწრფელ სალამს და მადლობას უგზავნიან თავის სამაგალითო მასწავლებელს ანეტა ჯინჭარაძის ასულს, რადგან მან თავის საქმისადმი სერიოზული მოპყრობით, ენერგიული მუშაობით შეაყვარა წითელ არმიელთ სწავლა-განათლება და დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

**საქართველოს მთლიან სამხ. კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა.** აპრილის 14-ს საღამოს 6 საათზე ცენტრ-არმკლუბში გაიხსნა მთლიან სამხედრო კოოპერატივთა რწმუნებულთა ყრილობა. ყრილობა გახსნა მთლიან სამხკოოპის გამგეობის თავჯდომარემ ამხ. ებრალიძემ, რომელმაც წინადადება მისცა ყრილობას აერჩია პრეზიდიუმი, არჩეულ პრეზიდიუმში მოყვნენ: ამხ. თენგიზ ჟღენტი, ჯაფარიძე და სხ.

ყრილობას მიესალმენ ამხ. მიხა ცხაკაია, მალაქია ტოროშელიძე, თენგიზ ჟღენტი, კ. გოგოლაძე და სხ.

მისალმების შემდეგ ყრილობა გადადის მორიგ საკითხებზე.

**ბათომის ნაწილების ცხოვრებიდან.** წითელ ლეგიონში კლუბის მუშაობა ... ცოცხლება შეეტყო; ამუშავდნენ როგორც დრამატიული წრე, აგრეთვე სხვა წრეებიც. წინეთ წითელარმიელებს უფასოთ შესვლის ნება არ ქონდათ სამხატვრო წარმოდგენებზე, დღეს კი მათთვის ნება დართულია. მხოლოდ წითელარმიელნი მონატრულნი არიან სამხატვრო წრისა, მით უმეტეს, რომ ლეგიონში მუშაობს ორი კარგად გამოცდილი მხატვარი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქმნან, როგორც სპეცები.

**გურიაში მყოფ ჯარის ნაწილების ცხოვრებიდან.** გურიაში მყოფ ჯარის ნაწილების მეოხებით მომხდარა ბანდიტების სრული ლიკვიდაცია. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა და მადლიერათ იხსენიებს გურიაში მყოფ წითელ გმირებს.

**კრებები.** ნაწილებმა მოაწყვეს ათი კრება, მათ შორის ორი შეერთებული ადგილობრივ მცხოვრებთან. ჩატარებულ იქნა ოცი პოლიტსაათი.

**წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** ნაწილებში მოხდა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

**სამწყობრო მეცადინეობა.** სამწყობრო მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურად; წითელარმიელნი იჩენენ დიდ ხალისს სამხედრო მეცადინეობაში.

**მცხოვრებლებთან დამოკიდულება.** წითელარმიელებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდულება მეგობრულია. მცხოვრებნი ნამეტნავად მადლიერნი არიან წითელარმიელთა მოღვაწეობით გურიაში.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

— **მუშათა ორგანიზაციები საქსონიაში.** საქსონიაშია კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის მოხდა შეთანხმება „წესრიგის სოციალ-დემოკრატიული დაცვის“ შესაქმნელად, რომელიც უმთავრესად პარტიის წევრებისაგან შესდგება და რომელიც შემდეგ ამოცანებს ისახავს: 1) დაცვა ყველა დემონსტრაციებისა, სოციალისტური პარტიების და პროფკავშირების კრებებისა; 2) დაცვა მუშათა პარტიის ყველა კრებებისა; 3) დაცვა პარტიისა და პროფკავშირების ქონების და დაწესებულებების კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების თავდასხმის წინააღმდეგ; 4) საჭიროების დროს დაცვის წევრები რესპუბლიკის ორგანოების განკარგულებაში გადავა, რათა სახელმწიფოებრივი პოლიციის ორგანოებთან ერთად დაიცვას რესპუბლიკა. სოციალისტური დაცვა იქმნება ყოველ პარტიულ ორგანიზაციასთან; დაცვაში მიიღებიან პარტიის წევრები, არა უახალგაზდეს 24 წლისა და არა ნაკლებ სამი წლის განმავლობაში მყოფნი პარტიულ ან პროფესიონალურ ორგანიზაციაში. გერმანიის ბურჟუაზიულ პრესაში საქსონიის ამ მუშათა დაცვის შექმნის გამო მეტად გაცხოველებული კომენტარიები შეიქმნა. მემარჯვენე პრესა ცდილობს დაამტკიცოს ამ ორგანიზაციების უკანონობა და მოითხოვს მთავრობის ჩარევას.

— **ქალების საარჩევნო უფლება ბელგიაში.** ბელგიის სოციალისტური პარტიის უკანასკნელ კონგრესზე საინტერესო დებატები სწარმოებდა ქალების საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლის გამო. კონგრესზე გამოირკვა, რომ კონსტიტუციის მომავალი გადასინჯვის დროს კათოლიკური პარტია რიგში დასვამს საკითხს ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ; სოციალისტების საპარლამენტო ბელადები წინასწარ დაჰპირდნენ კათოლიკეების ამ წინადადებისათვის მხარის დაჭერას. დისკუსიის დროს კონგრესზე აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი სოციალისტური ორგანიზაციები, განსაკუთრებით ვალლონიაში, გადაჭრით აცხადებენ პროტესტს ქალებზე საარჩევნო უფლების გავრცელების წინააღმდეგ; ისინი წინადადებას იძლევიან ასეთი უფლებანი გავრცელებულ იქნეს სატახტო და მსხვილ ქალაქებში და არა პროვინციაში. სოციალურ ორგანიზაციების ასეთი წინააღმდეგობა აიხსნება მით, რომ პროვინციაში კათოლიკეები განსაკუთრებით ძლიერი არიან ქალებში და მათთვის საარჩევნო უფლების მინიჭება კათოლიკურ პარტიის დიდი ხნით მოუპოვებს უმრავლესობას პარლამენტში. ამ საშიშროების სისწორის დასამტკიცებლად ორატორებს მოჰყავდათ ცნობები უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებისა, სადაც სოციალისტებმა დჰკარგეს მთელი რიგი ადგილებისა მას შემდეგ, რაც არჩევნებში ქალებმა მიიღეს მონაწილეობა. ქალების ხმების წყალობით კათოლიკეები არიან სრული ბატონ-პატრონნი ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისა ბელგიის შვიდ პროვინციაში. ერთმა ორატორმა ისიც კი სთქვა, რომ ქალების საარჩევნო უფლების სასარგებლოდ ხმის მიცემა თვითმკვლელობა იქნება სოციალისტურ პარტიისათვის, რადგან სენატი, რომელიც კათოლიკური პარტიის ციტადელად გადაიქცევა, არ გაუშვებს არც ერთ სოციალურ რეფორმასა, კიდეც რომ გატარდეს ის პალატაში.

— **უმუშევრობა ინგლისში.** 19 მარტამდე ინგლისში იყო 1.260.500 უმუშევარი, ხოლო უკანასკნელ კვირეში ეს რიცხვი 42 289 კაცით გაიზარდა. საზოგადოებრივ სამუშაოებში, რომელთაც მიზნად აქვთ უმუშევართა რიცხვის შემცირება, ძალიან ცოტა მუშები არიან გამოყენებული.

# პროვინციაში

**სოფ. ჩოჩხათი.** სოფ. ჩოჩხათი ოზურგეთის ახლო მდებარე სოფელია. მისი მდებარეობა მთაგორიანია. თუ წინეთ რომელიმე სოფელი განიცდიდა განმარტოებულ, მიყრუებულ არსებობას— დღეს ისიც გამოფხიზლდა. თავის მეობის აღსადგენად ხმა აღიმაღლა და მახვილი მოიმარჯვა ყოველივე პროგრესის შემაფერხებელ ელემენტების მიმართ. სოფ. ჩოჩხათი წინეთაც პირველობდა და სხვა საზოგადოებას მაგალითს უჩვენებდა. ნაკლებად მოიპოვება დღეს ისეთი სოფელი, რომელიც არ განიცდიდეს ცვლილებას ამ ექვსი წლის განმავლობაში.

ზემოხსენებულ სოფელს არ უკავია დიდი სივრცე. ის საშუალო სოფელს წარმოადგენს. მხილველი მაინც კმაყოფილი იქნება მისი ბუნების სიმშვენიერით და სილამაზით. ხშირად შეხვდებით მანდარინ-ფორთოხლის და ვენახ-ხილის ბაღებს. პირველის მოვლა-მოშენება არ არის დიდი ხანი, რაც დაწყებულა. უმეტესად ჩოჩხათის მუშები მისდევენ ხვნა-თესვას, რაიც ერთად ერთ შემოსავალ წყაროდ ითვლება ამ სოფლის მუშებისათვის. თუ კი რამე უნდა შეიძინოს მუშამ უნდა იყიდოს სიმინდში ანაღებ ფულით. ეს მოვლენა მარტო ამ სოფელს კი არა, არამედ დასავლეთ გურიის მთელ უმთავრეს ნაწილს ახასიათებს. დღის-დღეობით ეს მოვლენა შემაფიწროებელია. თუ წინეთ ერთ ფუთ სიმინდის ფასით იყიდდა ხუთ-ექვს არშინ ნარმას, დღეს ერთი არშინის საყიდლად საჭიროა ორ-ნახევარი ფუთი.

ს. ჩოჩხათი მუდამ ბუდე იყო რევოლიუციონერების. ჯერ კიდევ 1905—1906 წლიდან ამ სოფლის მოთავეები იმ დროს ფარულად მართავდენ სპექტაკლებს, სწევდენ აგიტაციას, უხსნიდენ ხალხს ახალ წესწყობილებას და სხვა. ამიტომ ს. ჩოჩხათის მცხოვრებლები მომზადებულად შეხვდენ ახალ ცხოვრებას, ახალ წესწყობილებას.

ს. ჩოჩხათის საზოგადოებას აქვს თავისი რვაწლიანი შრომის სკოლა. არის სამკითხველო, რის შემწეობით მშრომელ გლეხობას შეუძლია გაეცნოს ყოველ-დღიურ ცვალებადობას. არსებობს აქ კოოპერატივი და აფთიაქი. პირველის მდგომარეობა ვერ არის კარგად დაყენებული.

3—4 წლის წინ ამ სოფლის მცხოვრებს სახლის კედლების აგება უფრო ეადვილებოდა, ვიდრე სახურავის შეძენა. ამ წლების შემდეგ კი ს. ჩოჩხათში ამუშავდა ორი კრამიტის ქარხანა, რომელიც აწვდის სახურავ მასალას გურიის მშრომელ გლეხობას ხელმისაწდომ ფასებში და ეს მოვლენა კი უბრალო მოვლენათ არ ჩაითვლება, არამედ ნიშანია წინ სვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლო დროს მოხდა ეკლესიების გაუქმება, რის შემდეგ ს. ჩოხატის ეკლესიები იქნა დაშლილი და ჩამოტანილი ცენტრში. გადაწყვეტილია სახალხო სახლის აშენება, გეგმა შედგენილია. ამ მოკლე ხანში შეუდგებიან აშენებას. ამ მოვლენას ამ სოფლის მცხოვრებნი დიდი აღფრთოვანებით ეგებება, განსაკუთრებით ახალგაზრდები. ეკლესიების მსახურნი რომ პარაზიტებს წარმოადგენენ—ამაში ეჭვი არავის შეაქვს.

ელ. ჯიჯიეშვილი.

# სხვა და სხვა

— **თვითმკვლელობანი შეერთებულ - შტატებში.** თვითმკვლელთა რიცხვი შეერთებულ შტატებში უკანასკნელ წელს მეტად გაიზარდა. 1922 წელს 13.530 ამერიკელი მოქალაქე გამოესალმა თავისი ნებით ამ ქვეყანას; ამათში 9002 ჯერ კიდევ არ მიეღწია 20 წლის ჰასაკამდე და 79—ოფიციალურ ცნობებით მილიონერები ივვნენ. „სიცოცხლის გადარჩენის" ლიგის (თვითმკვლელობის წინააღმდეგ მებრძოლი) თავმჯდომარე ვარრენი ამტკიცებს, რომ თვითმკვლელობის მთავარი მიზეზი ნაადრევი ქორწინება არის. ამ ლიგის ცნობით ამერიკაში 1600 ვაჟი და 12,000 ქალიშვილი დაქორწინდა ისე, რომ 15 წლის ჰასაკს არ იყო მიღწეული. თვითმკვლელებიდან 4000 ქალი იყო; ამათგან ერთი ასი წლის დედაბერი და ერთიც 5 წლის გოგო.

— **ბრძოლა სიმთვრალისათვის.** ერთ-ერთ ლონდონის მოსამართლეს ამას წინათ წარმოუდგინეს ჯენტლემენი, რომელსაც ბრალად ედებოდა სიმთვრალე საჯარო ადგილზე. რადგან ბრალმდებელი უარყოფდა თავის სიმთვრალეს, ამიტომ მოსამართლემ წინადადება მისცა ოფიციალური ცნობების წიგნის დახმარებით აეხსნა, თუ როგორი შეიძლებოდა ინგლისის სხვა და სხვა ქალაქში მოხვედრა. ამ ამოცანიდან ჯენტლმენი გამარჯვებული გამოვიდა და მოსამართლემ ის. გაამართლა და ამას მით ასაბუთებდა, რომ შეუძლებელია მთვრალი იყოს კაცი, რომელსაც შეუძლია გაერკვეს ინგლისის მატარებელთა მიმოსვლის ცხრილში, რომელშიც ფხიზელსაც კი უძნელდება გარკვევა.

— **ამერიკის ციხეების წესრიგი.** დემოკრატიული ამერიკის ციხეების წესების შესახებ მოწმობს ვინმე მარტინ ტაბერტის ტრაგიკული ბედი რომელიც დაჭერილ იქნა ჩრდილოეთ დაკოტში რკინის გზაზე უბილეთობისათვის. ტაბერტს, რომელსაც სამუშაო არ ქონდა სამშობლოში, სურდა შტატ დაკოტში გადასვლა, რათა იქ მაინც მოენახა სამუშაო. აქ ის როგორც „კურდღელი" დაიჭირეს და მიუსაჯეს ჯარიმა—25 დოლარი ან სამი თვის ციხე. ციხეში ტაბერტს მძიმე სამუშაოებს ასრულებინებდნენ, მიუხედავად მისი ავადმყოფური მდგომარეობისა და შეუსრულებლობის დროს ისე სცემდენ, რომ ბოლოს ის გარდაიცვალა ზედამხედველის ცემით, რომლებიც როგორც ახლა ირკვევა უფრო მკაცრათ ეპყრობიან ტუსაღებს, ვიდრე ძველათ ნეგრ-მონებს ეპყრობოდენ. ამ საქმის გამო, რომელიც ძლიერ აღელვებს მთელ ამერიკას, გამოძიება სწარმოებს.

— **„დამნაშავეთა" დასაჭურისება.** ჩიკაგოში გამოვიდა წიგნი, რომელიც გამოსცა ქალაქის სასამართლოს ფსიქოპატოლოგიურმა განყოფილებამ. ეს წიგნი პროპაგანდას სწევს ქალებისა და ვაჟების სქესობრივ სტერელიზაციის იდეისას იმ შემთხვევაში, თუ ისინი სიცოცხლეს მისცემენ საზოგადოებრივ მავნებელ ბავშებს. პოლიციის მოსამართლე ვოლსონს განზრახვა აქვს შეიტანოს ჩიკაგოს შტატის პარლამენტში შესაფერი პროექტი. კანონპროექტის თანახმად, დანიშნულ იქნება შტატის სპეციალისტი იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენად სასურველი იქნება შტატ ილლინოსის ყოველი ცალკე წევრის მიერ შთამომავლობის გაჩენა. კანონპროექტი მოითხოვს მათ დატუსაღებასა და სასამართლოში წარდგენას, რომლებზეც ეჭვი იქნება აღებული, რომ მათი შთამომავლობა მძიმე ტვირთათ დააწვება საზოგადოებას. თუ კი სასამართლო მათ „დამნაშავეთ" სცნობს, ისინი დაჭურისებულნი იქნებიან.

# ლ. მარტოვის აზრი საქართველოს დამოუკიდებლობაზე

(მცირე მოგონება)

გერმანეთში გარდაიცვალა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. ლ. მარტოვი. ამ მცირე მოგონებაში ჩვენ არ ვეხებით ლ. მარტოვის მოღვაწეობას საერთოდ. ჩვენ ვიგონებთ განსვენებულის ერთ ინტერვიუს ქართველ ახალგაზრდათა ჯგუფთან 1919 წ. რომელშიც მან (მარტოვმა) თავისი აზრი გამოსთქვა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

1919 წ. საზღვარ-გარეთ ქართველ ახალგაზრდათა ერთმა ჯგუფმა მიჰმართა ლ. მარტოვს და როგორც ავტორიტეტულ პიროვნებას და სოციალ დემოკრატიის პასუხისმგებელ წარმომადგენელს გაეზიარებია თავისი აზრი რუსეთის მონარქიულ იმპერიის დანგრევის შედეგად განთავისუფლებულ არარუს ეროვნებათა და კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რომელიც იმ ხანებში სულ ერთი წლის აღდგენილი იყო.

ინტერვიუში ლ. მარტოვი წინააღმდეგი იყო არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის, არამედ უკრაინისა და ფინეთისაც.

ლ. მარტოვის აზრით ნაციონალურ სახელმწიფოთა ორგანიზაცია რეაქციული პროცესი იყო.

ლ. მარტოვი ასეთივე შეხედულების იყო 1921 წელს.

ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი სამართლიან და ავტორიტეტულ თქმას მოელოდა ლ. მარტოვისაგან და ზემოხსენებულმა მოულოდნელმა პასუხმა ინტელიგენტ ქართველებს გული გაუტეხა: ისინი ამბობდენ, რომ ლ. მარტოვს როგორც დიდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ აზროვნების გამაპიროვნებელს ძველი რუსული დიდმპყრობელური პსიქოლოგია ვერ განუშორებია, რუსულ ბატონობის ტენდენცია ვერ დაუვიწყებიათ.

ეს მცირე მოგონება ჩვენ არ მოგვიყვანია ისტორიულ დიდ პიროვნების ლ. მარტოვის მსჯავრის დასადებად, არამედ იგი მოვიყვანეთ როგორც დამახასიათებელი თვალსაზრისი სოციალ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობისა მცირე ერთა განთავისუფლების საკითხში.

ირ—დი.

**ქუთაისელთ თეატრი.** ხუთშაბათი 19 აპრილი, „მაკბეტი". ა. იმედაშვილის ბენეფისი. ქართველი საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით მოელოდა „მაკბეტის" დადგმას ქართულ სცენაზედ. ის რამოდენჯერმე იყო გამოცხადებული ამ ათი დღის განმავლობაში და გადაიდო. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ხუთშაბათს „მაკბეტი" მიდიოდა საყვარელი არტისტის ა. იმედაშვილის საბენეფისოთ. ყოველივე ამან დიდძალი ხალხი მიიზიდა. ისე რომ თეატრში ტევა არ იყო. დაჭერილი იყო ორკესტრიც და გასასვლელებიც.

სამწუხაროდ წარმოდგენამ ვერ დაგვაკმაყოფილა. როგორც თვით იმედაშვილი—მაკბეტი, ისე ნ. ჩხეიძე—ლედი მაკბეტი არ გამოვიდა ისეთები, როგორც მოსალოდნელი იყო ამ დიდი არტისტებისაგან. აქ უსათუოდ დამნაშავეა შექსპირი. მაკბეტი და მისი მეუღლე ისეთი რიტორიკით და ყალბი მომენტებით არის დახასიათებული ავტორის მიერ, რომ მათი განსახიერება, ვფიქრობ, შეუძლებელია... ახალგაზრდა არტისტებს, ვასაძეს და სხვებს, რომელთაც უფრო ბუნებრივი როლი ჰქონდათ აღებული, მეტი სიცოცხლე ეტყობოდათ. დადგმაც არ იყო მოსაწონი. დრამის მოქმედება ძალიან მოდუნებული ტემპით მიდიოდა, რამაც უსათუოდ ხელი შეუშალა არტისტების დრამატიულ ტემპერამენტის განვითარებას.

მიუხედავად ყოველივე ამისა ხალხი ოვაციებით შეხვდა ბენეფიციანტს, ხშირად აწყვეტინებდა თამაშს ტაშით და ბევრი საჩუქარიც მიართვეს.

დილ.

**საბინინის ბენეფისი.**

**ბორის გოდუნოვი.** სახელმწიფო ოპერის მსახიობის ბ-ნ საბინინის ბენეფისით განახლებული იქნა ტფილისის საოპერო თეატრის სცენაზე—მუსორგსკი. თუმცა დღეობას სასიამოვნო ეპიტეტების მოსმენა სჩვევია, მაგრამ პატივებას ვითხოვ, თუ გავთამამდები და ვიტყვი, რომ ბორისის დადგმა სასაცილო და შესაძლებელია უფრო შემთხვევითი ხასიათს ატარებს, რასაც უთუოდ უნდა მოვერიდოთ ასეთ სანიმუშო თეატრების დადგმის დროს, ისიც ასეთი ფართო მუსიკალური ნაწარმოების—განსაკუთრებით.

ბორისის სახე კარგათა აქვს მოფიქრებული ბ. საბანინს, თუმცა მისი დასრულებულათ შესრულებისათვის, საჭიროა მეტი დეტალური დამუშავება.

პირველი არიოზო—„სული ჩემი სევდით ივსება",—სავსებით დაიკარგა, რაიც ალბათ მობენეფისეს განსაკუთრებულ მღელვარებას მიეწერება, რომელსაც სავსე დარბაზი მხურვალე ოვაციებით შეხვდა. ეს-კი, ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია ოპერაში. მეორე არიოზო—„დოსტიგ ია ვისშეი ვლასტი"—უკეთესი იქნება, რომ სავარძელში დამჯდარი იმღერებოდეს. ეს ხომ ბორისის ხმა-მაღალი ფიქრებია.

სცენიური მხრით, პარტია საუკეთესოდ დამუშავებულია, ხოლო ადგილი თავად შუისკისთან, ბორისის მოსისხლე მტერთან, მოითხოვს მრისხანებას, კეთილ განწყობილებას და თხოვნა-მუდარაზე შეცვლას. სხვა, მთელი უკანასკნელი სიკვდილის სცენა—კარგია.

შემდეგი მნიშვნელოვანი პარტია ამ ოპერაში არის, მოსკოვის მომავალ მეფის, ცრუ დიმიტრის საცოლის, მარინე მნიშეკის როლი. სამწუხაროდ ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, ეს პარტია ქ. მუხტაროვას ვერ მოუდგა. მსახიობი არ დაფიქრებულა უსათუოდ, ამ თავ-მოყვარე, ამპარტავან თავადის ასულზე.

შემცდარი ვიდმოცემაა, პოლონეთის პანთა ლეგატის-პატერ რონგონის-სახე, ბ. კრიჟანოვსკის მიერ. რანგონი ეს, მაცდური იეზუიტია. ამის მსგავსი თავ. ბ. კრიჟანოვსკის არ მოუცია. მისი რანგონი, არა მძლეთა-მძლე პანის ნუნციო, არამედ უფრო ჩქარა უმნიშვნელო კატოლიკური პატერი. ისე, რანგონის პარტიას ბ. კრიჟანოვსკი კარგათ იმღერის.

ცრუ-დიმიტრი ბ. ავრანოვსკის შესრულებიდან—ტიპიურია, ხოლო სცენა ჩუდოვის მონასტერში ძალიან კარგი მემატიანეა პიმენი და შემდეგ მოხუცი ბ. შარაშიძე.

პოეტიურია-*მეფის ქალი ქსენია, ქ-ნ ცაგარელის შესრულებაში და ტიპიური, ქ-ნ დობრავინსკის გადმოცემა, ქსენიას გამდელ ქალისა.

ღიდებულად ასრულებს (სცენიურის მხრით) მაწანწალა, ვარლაამა ბერის როლს, ნიჭიერი მსახიობი ბ. დემიანენკო. ეს პირდაპირ ცოცხალი კაცია და არა აქტიორი სცენაზე.

ოპერაში დიდი ადგილი აქვს მინიჭებული ორკესტრს და სამწუხაროდ ბ. ბრონი ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. ოპერაში—მოქმედების საუკეთესო ილიუსტრაციაა მოცემული, მაგ. ზარების რეკა ბორის გოდუნოვის დედოფალზე ჯვარის წერის დროს. ეს შესანიშნავი მუსიკალური პარტია ორკესტრისა, სრულიად დაიკარგა ბ. ბრონის დირიჟორობაში. არ იყო რიტმი არ სჩანდა ფერები და და არ ისმოდა ხმაურობა. უკეთესად მიდის სცენა ლეკონში, ლიტოვის საზღვარზე. აქ ორკესტრმა ოდნავი განცდა მოგვცა.

დადგმაში აღსანიშნავია, ეპოქასა და ზნეჩვეულების არ მცოდნე რეჟისორის თვალი. უპირველესათ ყოვლისა საჭიროა,—ცოდნა, რომ ძველი რუსეთის ეპოქაში, საზეიმო პროცესიების დროს ქალები არასოდეს არ იღებდენ მონაწილეობას. აგრეთვე ძლიერ მწირი მორთულობის იყო ჯვარისწერის სცენა, გუნდში მონაწილენი ირეოდენ, რაზედაც „დიდებათ" ხორო მკრთალათ ჩატარდა. მემატიანე პიმენს მონასტრის ბინა აგრეთვე ღარიბულად უნდა იყოს. შეუფერებელია მარინეს სხვენქალის ტანსაცმელი უნდა სცმოდა პოლონური. ბორის—გოდუნოვის სიკვდილის დროს არ სჩანდა არც დედოფალი, არც მისი ქალი, ეს რაღაც არა ბუნებრივია—ქმრისა და მეფის მიმართ.

პ. ზებუთოვი.

**სახალხო სახლი. „ელეონორა".**

აპრილის 15.

დამსახურებული მსახიობის თამარ გოგოლაშვილის საბენეფისოთ გამართულ საღამოზე „სახალხო სახლის" დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნა ალ. ყაზბეგის ცნობილი რომანიდან გერგესელის მიერ გადმოკეთებული პიესა „ელეონორა".

პიესაში დაცულია რომანის მთავარი ხაზები. ყველა მომქმედი პირი სარგებლობს სიტყვის იმ მასალით, რომელიც მოცემულია რომანის ავტორის მიერ. სასცენო ტეხნიკა კარგია. დადგმას ემჩნევა დეკორატორის ხელის ...

ფერისია.

მთავარ როლში (ელეონორა) ... ფიციანტი ქ-ნი თ. გოგოლაშვილი ... და აღინიშნოს, რომ პირველ ... მოქმედებაში ... ხიობი მოისუსტებდა. „ელეონორას" ტიპის ... სახებას, მთელი მისი თავმოყვარე კადნიერებით ... უდრეკი ნებით ესაჭიროება უფრო მეტი ფსიქოლოგიური ანალიზი. პიესის მესამე მოქმედებაში ... გოლაშვილი როლის სიმაღლეზე სდგას ... ლებლად.

(ვახტანგი) თაზიშვილი კარგია დიქ... თუმც ხმა არ ჰქონდა ბუნებრივი. მან ვერ შე... მდგომარეობის სრული თვისება. ... დარბაისლე და სიდინჯე მან ბოლომდე შეინა... ნა, მაგრამ ყოველ ახალ უჩვეულო მოვლენას „ელეონორას" ცხოვრებაში ის თითქოს წინასწარ... ზადებულად ხვდება.

(ლეონ) ადამიძე—მახინჯი ტიპის განსახ... მაგრამ რომელსაც აქვს უნარი სიყვარულის გრძ... ბის განცდისა. ეს როლი პიესაში საგრძნობ ტ... გიულია. ადამიანს, ფიზიკურად მახინჯს, რომ... საც შეუძლია ტრფიალება მიჯნურისადმი, იმ... არ ეძლევა სულის სიმშვიდე და ვერ ჰპოებს ... გრძნობას ელეონორასაგან, რომ ის მახინჯია. ... გრძნობს ლეონი და თვითონაც მიმხვდარი ე... ნორასადმი სიყვარულის მიუღწევლობაში. ამას ... და გრძნობდეს მსახიობი და არტისტული ე... კულიაციის საშუალებით მაყურებელიც ... გრძნობის მოზიარედ უნდა გახადოს. იყო ... მენტები, როდესაც ადამიძე ამ აპოგეას ... წევდა.

მსახიობი სრულიად მოსაწონი იყო უკა... ნელ მომენტში, როდესაც ასლან გირეიე გამ... ჯავრებული უარს ეუბნება ელეონორას ცოლად ... თავაზე. აქ მისი გრძნობათა ტონი მრავლის მე... ლი იყო.

„ასლან-გირეი"—ნინიძე ნიჭიერია უსათუ... ნინიძე საერთო შთაბეჭდილებას კარგს სტოვ... მაგრამ ცალკე მომენტების დაკვირვებაში მრა... დეფექტების აღმოჩენა შეიძლებოდა.

„ისმაილ"—კუპრაძე მოხდენილი იყო ... როლისთვის. გარეგანი ეფექტი და სხეულის ... მიკა სავსებით შესაფერისი და ჩინებულად გა... ნებული იყო მსახიობის მიერ.

ზურაბი—თავდგირიძე ძალიან პატარა რო... მაგრამ შეიძლებოდა მისი უფრო უხმო ამე... ლება.

პიესის დადგმა ვერ არის სავსებით დამ... კმაყოფილებელი.

„ელეონორას" შემდეგ წარმოდგენილ ... **დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"** ... დენ დარისპანი (გორგოლიანი), კაროჟნა (გოგ... შვილი) და სხვებიც რამდენიმე. პიესა უსი... ხლოდ ჩატარდა.

ძალიან უშლიდა სუფლიორის მაღალი ... ბენეფიციანტის თამარ გოგოლაშვილის მის... ცად და პატივსაცემლად საღამოს დიდი საზ... დოება დაესწრო.

გ. თ—ლი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 68.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წარმოებული საქმეების მოსპობის შესახებ.**

რადგანაც უკვე საკმაო დრო გავიდა დღიდან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 78 ნომერი დეკრეტის გამოცემისა ყოფილ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული იმ ძველი საქმეების მოსპობის წესის შესახებ, რომელთაც უმეტესს შემთხვევაში უკვე დაჰკარგეს რეალური მნიშვნელობა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოადგენს:

I. გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული ყველა სამოქალაქო, აგრეთვე ... ბრალდების წესით აღძრული სისხლის სამართ... საქმე, რომელიც შეიძლება დამთავრდეს შე... შერიგებით და რომლის განახლებაც თანახმად ... საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. ნოემბრის ... თარიღითა და 78 ნომრით გამოცემული დეკრეტისა, არ მოუთხოვიათ მხარეებს ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე,—ჩაითვალოს მოსპობილად.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. **მგელაძე**.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. **ვარძიე...**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. **სალარიძე**.

1923 წ. აპრილის 17.

ტფილისი—სასახლე.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ჩემი განცხადება:

დღემდე მე არც ერთ პარტიაში არ მიმუშავნია. ვიყავი უპარტიოთ და თვალყურს ვადევნებდი ყველა პოლიტიკურ პარტიების მოქმედებებს. დღეს, პოლიტიკურად სავსებით გამორკვევის შემდეგ მსურს ვიმუშაო საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიაში, რადგან ერთად ერთი პარტიაა ეს საქართველოში, რომელიც მტკიცედ და ურყევად იცავს ეროვნულსა და მშრომელ მასის ინტერესებს.

ა. გრიგოლია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


# გოგირდის აბანო

ყოფ., „ფანტაზია" კაპიტალური შეკეთების შემდეგ ისევ გახსნილია.

ნომრები 1, 2, 3, 4.

საერთო კაცების—

ახლად გაღებულია საერთო ქალების.

№ 221—1—1

**დავკარგე** სატუსაღოდან განთავისუფლების ორდერი და დატუსაღების დროს ჩამორთმეული ნივთების ბარათი, მოცემული გორის პოლიტბიუროსაგან ჩაითვალოს გაუქმებულად.

პავლე მეტრეველი.

№ 406.


ტირაჟი 920 [illegible] მთავარმმართველობის მიერ. № 208 საქართველოს [illegible] განყოფ. სტამბა [illegible]